საიდ. №70767/03
IR 1145742

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №57-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბ., თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანია „თურქი ის ბანკასი ანონიმ შირკეთი”-ს (TURKIYE IS BANKASI ANONIM SIRKETI) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №57-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 იანვრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №51/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Bankamatik” (საიდ. №70767/03 IR 1145742) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 და 36-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 იანვრის №51/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარდგენილი ნიშანი "Bankamatik" ქართულად ითარგმნება, როგორც "ბანკომატი" და განცხადებული საქონლის ნაწილის მიმართ აღწერილობითია, ვინაიდან შედგება საქონლის მხოლოდ სახეობისაგან, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „თურქი ის ბანკასი ანონიმ შირკეთი” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, მოთხოვნილი აღნიშვნები არ შეიძლება განხილულ იქნას ისე თითქოს განმასხვავებელი თვისება არ გააჩნდეს, რასაც მოწმობს განმცხადებლის დასკვნები, აგრეთვე ის მასალა, რომელიც წარმოდგენილია განცხადებაში მოთხოვნილი აღნიშვნების რეგისტრაციის სასარგებლოდ. აპელანტის მითითებით, განცხადებაში მოთხოვნილი აღნიშვნები “Bankamatik” /”ბანკამატიკი” წარმოადგენს ლათინური ასოებით შედგენილ სიტყვიერ ნიშანს, რომელიც დიდი ასოთი იწყება და მერე პატარა ასოები მოსდევს. ეს არის მისი ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი ბრენდი, რომელიც ფართო სპექტრის საქონლისა და საბანკო მომსახურების მარკირებისთვის გამოიყენება. “Bankamatik”/”ბანკამატიკი” ბარათებით საბანკო მომსახურების მთელი სისტემაა – დაწყებული ანგარიშიდან ნაღდი ფულის მოხსნის მარტივი ოპერაციებიდან, მათ შორის სავაჭრო წერტილებში, ინტერნეტ ბანკინგით დამთავრებული, რაც მსოფლიოს ნებისმიერი წერტილში ნებისმიერი ვალუტით ანგარიშსწორების საშუალებას იძლევა. აღნიშნული სისტემა ფართოდ არის ცნობილი და მოხერხებულობისა და მობილურობის გამო მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამასთან ერთად, აღნიშნული სისტემა მუშაობს ვებ-გვერდის საშუალებითაც www.Bankamatik.com.tr, რაც ფულადი სახსრების

განკარგვის მაქსიმალურად სწრაფი და მოხერხებული განკარგვის საშუალებას აძლევს განმცხადებელი კომპანიის კლიენტებს მთელ მსოფლიოში. ვებგვერდის www.Bankamatik.com.tr მასალები და აგრეთვე ამ ნიშნის გამოყენების ნიმუშები თან ერთვის სააპელაციო საჩივარს. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს რომ თვითონ აღნიშვნა "Bankamatik"/"ბანკამატიკი" არ წარმოადგენს ქართულ ლექსიკურ ერთეულს, რის გამოც ქართველი მომხმარებლის ცნობიერებაში ერთგვარი ფანტაზიის ხასიათი ექნება. აპელანტის პოზიციით, განმცხადებელი კომპანია - TURKIYE IS BANKASI (TR) /"თურქიე ის ბანკაში"- პირველი საჯარო საბანკო დაწესებულებაა თურქეთში, რომელიც 1924 წელს დაარსდა. 2008 წელს ჟურნალ ბანკირის/ The Banker "მსოფლიოს 1000 საუკეთესო ბანკების" რეიტინგში 102 ადგილი ეჭირა და 2006 წლის 6,8 მილიარდიანი თურქული ლირის მთლიანი შემოსავლით ფორბსის რეიტინგით (Forbs Global 2000) 371-ე ადგილი. ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს სტამბულის ლევენტის რაიონში. თურქეთის ტერიტორიაზე ბანკის 1011 ფილიალი ფუნქციონირებს, რის გამოც ის ერთ-ერთი მსხვილი ბანკია ქვეყანაში ფილიალების რაოდენობის მიხედვით. ბანკის საერთაშორისო ქსელი წარმოდგენილია თითო ფილიალით დიდ ბრიტანეთში, ბახრეინში, ნიდერლანდებში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში; 13 ფილიალით თურქეთის რესპუბლიკაში ჩრდილოეთ კვიპროსში; შვილობილი ფინანსური ინსტიტუტებით ირლანდიაში (İş Dublin Financial Services plcc/დუბლინ ფაინანშიალ სერვისიზ ფლს), გერმანიაში (İşbank GmbH/იშბანკ გმბჰ), და რუსეთის ფედერაციაში (იშბანკ); აგრეთვე ოფისებით შანხაისა და კაიროში. აპელანტის განცხადებით, განმცხადებელი კომპანია ფართო მასშტაბიან საქმიანობას ეწევა და განაცხადში მითითებული ნიშნით მის მიერ გაყიდული საქონელი და მომსახურება მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ზემოაღნიშნულის და აგრეთვე ქართველი მომხმარებლისთვის ფანტაზიური ხასიათის გათვალისწინებით განაცხადში მითითებული ნიშნები აღიქმება როგორც განმცხადებელი კომპანიის აღმნიშვნელი, გააჩნია დისტინქტიური ხასიათი და კონკრეტულად განმცხადებელ კომპანიასთან და მის პროდუქციასთან/მომსახურებასთან ასოცირდება, რაც უფლებას არ იძლევა მითითებული ნიშნები განიხილებოდეს ისე, თითქოს განმასხვავებელი უნარი არ გააჩნდეს. ინტლექტუალური საკუთრების უფლების დაცვის მიზნით

განმცხადებელმა კომპანიამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაარეგისტრირა სავაჭრო ნიშანი Bankamatik /"ბანკამატიკი." დღეისათვის კომპანიას გააჩნია ზემოხსენებული სავაჭრო ნიშნის რეგისტრაცია თურქეთში, აგრეთვე ევროკავშირის 28 ქვეყანაში. განაცხადში მითითებული აღნიშვნების სხვადასხვა ქვეყანაში რეგისტრაციის ფაქტი მოწმობს, რომ ზემოხსენებული ქვეყნების ექსპერტიზამ მათი განმასხვავებელი უნარი/თვისება სცნო 09 და 36 კლასის საქონლისა და მომსახურების მიმართ და აქედან გამომდინარე სამართალდამცავი პირობების შესატყვისად. ამგვარად, სხვადასხვა ქვეყანაში განაცხადში მითითებული აღნიშვნების რეგისტრაცია მოწმობს, რომ მითითებული ნიშანი არ შეიძლება განიხილებოდეს განმასხვავებელი თვისების არ მქონედ, აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ის პასუხობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პირობებს. აპელანტის პოზიციით, გასათვალისწინებელია:

- ქართველი მომხმარებლისთვის მითითებული ნიშნის ფანტაზიური ხასიათი;
- განმცხადებლის ფართო ცნობადობა;
- განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია სხვადასხვა ქვეყანაში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ მითითებული აღნიშვნა მომხმარებლში სწორედ განმცხადებელი კომპანიის და მისი პროდუქციის ასოციაციას გამოიწვევს, რის გამოც არ შეიძლება ის განხილულ იქნეს, როგორც არაგანმასხვავებელუნარიან ნიშნად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 იანვრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №51/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Bankamatik" (საიდ. №70767/03 IR 1145742) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად".

სააპელაციო კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Bankamatik" (საიდ. №70767/03 IR 1145742) წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს, რადგან სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი „Bankamatik", რომელიც შესრულებულია ლათინურად თურქულად აღნიშნავს „ბანკომატს". სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი აღწერილობითია მე-9 კლასის საქონლის მიმართ, რადგან ის პირდაპირ მიანიშნებს მომხმარებელს საქონლის სახესა და თვისებაზე, რადგან განმცხადებლის მიერ მოითხოვება განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია მე-9 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ბანკომატებთან და ფულის განაღდების აპარატებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Bankamatik" (საიდ. №70767/03 IR 1145742) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანია „თურქი ის ბანკასი ანონიმ შირკეთი”-ს (TURKIYE IS BANKASI ANONIM SIRKETI) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 იანვრის №51/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ე. ე

წევრები: დ. ჭიჭინაძე

მ. ბ.